





ଓରେଣ୍ଡାଙ୍ଗ  
ET CETERA

କବିତା ପ୍ରକାଶନ  
ଗାନ୍ଧାରାମାଲିବା

ალექს შუღლაძე  
გადამალვა  
რომანი



წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა  
დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-516-5

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

პირველი ნაწილი. თანამდევი წარსული 7  
მეორე ნაწილი. ტკივილით შეცნობილი 7I  
მესამე ნაწილი. ირაციონალურის შემოშვება I5I



პირველი ნაწილი

თანამდევი ნარსული



# I

ჩემი მოხუცი დედა – ლენა ხუბოვი იჯდა სკამზე, სადარბაზოში, მერვე სართულზე, ზურგით ლიფტისკენ და სახით გაუქმებული ნაგვის ბუნკერისკენ. ორივე ხელით სკამის საჯდომს ჩაჭიდებული, ძლიერ ტკივილს განიცდიდა და ამიტომაც ბოლომდე გარინდული იყო. თვალდახუჭულს, არა მგონია გახსენებოდა, ქვედა ორ მეზობელს შორის რამხელა დავის საგანი გახდა ნაგვის მილის ამოლების შედეგად გამოთავისუფლებული სივრცე. ცხადია, იმ ორიდან ერთი უფრო მარიფათიანი აღმოჩნდა და რკინის კარითა და ბოქლომით გადაჭრა სადავო საკითხი. რაც აქტუალური იყო დედასთვის ჯერ კიდევ გუშინ, დღეს გამქრალიყო მისი ცნობიერებიდან და ტკივილისგან გაპრუბული, ველარც ამჩნევდა ცხვირწინ ინსტალირებულ მეზობლის სითავხედეს. თვალი რომც გაეხილა, მაინც ვერ დაინახვდა იმ კარს, რომელიც ცარიელ სივრცეს კეტავდა.

დედა ოდნავ წინ იყო გადახრილი, თავს არ ანძრევდა, ნაზად სუნთქავდა და, მთლიანობაში, ქალურ ჩვევებს არ ღალატობდა. ცდილობდა, ისედაც გასწორებული ქვედაკაბა შეუმჩნეველი მოძრაობით კიდევ უფრო გაესწორებინა. ამ მოძრაობით სურდა გადაეფარა იმედგაცრუება, ამგვარმა არამყარმა ვითარებამ რომ წარმოშვა მის გულში. ორმოცდაათი წელი იცხოვრო სახლში, ზეპირად იცოდე მისი ყოველი კუთხე-კუნძული, ფიქრობდე, რომ დაცული ხარ მშობლიურ კერაში და მოულოდნელად ასეთ ყოფაში აღმოჩნდე – მონჯლრეულ სკამზე, გაზის მრიცხველების გვერდით, უცხო ხალხის ყურადღების ცენტრში...

დედას მარჯვნიდან ედგა მაღალი კაცი – სანიტარი. ზემოდან კიბეზე მე ჩავდიოდი და თან ვფიქრობდი, რომ ადამიანის მდებარეობით სივრცეში და მისი სხეულის ამა თუ იმ პოზიციით, გაჭირვების ხარისხის ამოცნობა შეგვიძლია.

როცა ვუყურებთ საკონცენტრაციო ბანაკების პირველი თვეების ფოტოებს, სადაც ქალები და მამაკაცები, ჯერ კიდევ ფერხორციანი, დედიშობილა პატიმრები – შიშით იცქირებიან ობიექტივში და არ რცხვენიათ არც ერთმანეთის, არც ობერშტურმბანფიურერების და არც მათი ნაგაზების, ხვდები, თუ რა მძიმე ყოფაში არიან. ერთი-ორი წლის მერე, ან უკვე ჩინჩხადქცეულ პატიმრებში, ეს შიში ქრება. მათ თვალებში ახლა სასოწარკვეთა იკითხება. არა, სასოწარკვეთაც არა, რაღაც სხვა – გულგრილობა. შიშმა და შიმშილმა ისინი გამოაცარიელა. კითხვაზე კი, რომელი სჯობს: მუდმივი შიში წლების განმავლობაში, თუ შინაგანი გამოცარიელება – ცალსახა ჶასუხი არ არსებობს.

კადრში ესესელის ყოფნა მიზანმიმართულს ხდის ვითარებას, იკითხება აუცილებლად მწვალებლური მომავალი. მიუხედავად იმისა, რომ ომისდროინდელ ფოტოებში მოქმედება უკვე დასრულებულია და დიდიან-პატარიანად, ყველანი მრავალგზის ნანამებნი არიან, გარდუვალი საშიშროების გრძნობა მაინც არ გტოვებს ადამიანს. აღარ გინდა, ეს ფოტოები არსებობდეს, სიამოვნებით გაანადგურებდი ყველას ერთად.

შიში ფიტავს ადამიანის ცნობიერებას.

დედას შემთხვევა მეტად უცნაური გამოდგა: თავის საძინებელში იდგა და, როგორც თვითონ თქვა, ლოცულობდა, როცა მოულოდნელად მარცხენა ფეხი წვივში გადაუტყდა. ძლიერი ტკივილის გამო მარცხნივ გადავარდა, თეძოზე დაეცა და მეორე მოტეხილობა ბარძაყის ძვალზე მიიღო. ორი მოტეხილობა – და მოტეხილობა, ძირითადად, ყოველთვის გაუთვალისწინებელია – სულ რაღაც წამებში. თანაც ასეთი რამ ორმაგად მტკივნეული უნდა ყოფილიყო მისთვის, რადგან ეს ლოცვისას მოხდა. ერთმა ძველმა თანამშრომელმა მოგვიანებით ჰკითხა: – ლენა, რას სთხოვდი ასეთს ღმერთს?

ლენა თავიდან ვერც კი მიხვდა, რა დაემართა. ორმაგი მოტეხილობის შესახებ სასწრაფოს ექიმისგან შეიტყო. არც კი წამოუკივლია, როცა წაიქცა. ასე ეგდო რაღაც დროის განმავლობაში და თავისთვის კვნესოდა. მის ადგილას ვინმე მამაკაცი ალბათ უშვერი სპონტანური გინებით აიკლებდა იქაურობას და საკუთარ თავში გამოიწვევდა იმ დამანგრეველ კონფლიქტს, მხურვალე ლოცვის ლაბდვით ჩანაცვლება რომ იწვევს.

ადამიანი ყოველთვის ეძებს მოტივს და დამნაშავეს. ვინ იყო დამნაშავე მოცემულ შემთხვევაში? დედა ხომ ლოცულობდა, მეტი რა ექნა?

ალბათ იატაკი გაინძრა, სხვა რა უნდა ყოფილიყო? იქნებ მიწისძვრა მოხდა? იატაკი თუ არ განძრეულა, მაშინ მოლალატე ძვალია, უბრალო დატვირთვასაც რომ ვერ გაუძლო კალციუმგამოცლილმა. ამ ვერსით, დამნაშავე მაინც ლენა გამოდის, დროზე ვერ მიანდა ძვალს კალციუმი. თუმცა, ორ ბაზშვს რომ გააჩენ და გაზრდა, მერე ვიღას მოუბრუნდება ენა, რამეში დაგადანაშაულოს? მაშასადამე, შვილები გამოდიან დამნაშავენი, დედას მთელი სასიცოცხლო ენერგია რომ გამოაცალეს. თუმცა შვილებსაც ვერ დავადანაშაულებთ. აბა, რა მაგათი ბრალია: სადაც ჩასახეს, იქ იწყეს ზრდა.

დედას ფეხი სწორედ იმ ადგილებში მოტყდა, მოხუცებს რომ სტყდებათ ჩვეულებრივ: ერთი – წვივში და მეორე – ბარძაყის ძვლის თავში. არის ამაში რაღაც სისტემური. დედამ მაგიდიდან ტელეფონი რის ვაი-ვაგლახით გადმოათრია. ჯერ მეზობელს დაურეკა და მერე მე. ბოლო ათი წელი მისგან შორს ვცხოვრობდი, ქალაქის გარეუბანში. ვნახულობდი კვირაში ერთხელ, ან ორ კვირაში ერთხელ. იმ დღეს ერთი საათის დაშორებული ვიყავით, როცა დამირეკა. არასდროს ჰქონია ასეთი ხმა. ხმამ მითხრა: არ ვიცი, როგორ, მაგრამ ფეხი მომტყდა. შენი წასვლის მერე წავიქეციო. მიუხედავად იმისა, რომ პირველივე სასწრაფო დახმარებამ ფეხის მოტეხილობა დაუდგინა, ლენა უარს ამბობდა საავადმყოფოში გადასვლაზე. მთელი ღამე თეთრად გაათენა და ტახტზე გაუნძრევლად მჯდომარე, საძინებელში მწოლიარეს გამომძახებდა ხოლმე, რით ვერ გა-

მიჩერდა ეს ტკივილიო. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ძილი ჩემი ბედია ბოლო ოცი წლის მანძილზე და მეც, საპასუხოდ, ერთ-ორ დამამშვიდებელ სიტყვას გავძახებდი ხოლმე. გამთენისას მითხრა, მეტს ვეღარ მოვითმენ, იქნებ საპირფარეშომდე მიმიყვანოო. საპირფარეშომდე ვერ მივიყვანდი, მარტო ვერაფრით ავწევდი, ორ ადგილზე მოტეხილი ფეხით კი ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. სადღაც კარადაში ძველი ლამის ქოთანი ვიპოვე და სადაც იჯდა, იქ ვაქნევინე. დიდი გაჭირვებით წამოიწია, ცალ ფეხზე იდგა. ქოთანზე ვერ დაჯდა და ოდნავ ჩაიკუშა. გვერდით ვიყურებოდი, სანამ შარდავდა.

კიდევ ერთი სასწრაფო უკვე გამთენისას გამოვიძახე, ავადმყოფის ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი ინვენტარით და დიდი მანქანით. ლენას გამაყუჩებელი გაუკეთეს და ტრავმატოლოგიურში დარეკეს, ავადმყოფი მოგვყავსო. ამ დარეკვამ საბოლოოდ დაარწმუნა დედა, რომ ფეხი მოტეხილი პჟონდა და სახლში ვეღარ დარჩებოდა. საკაცეზე არ დაგვიწვენია, ვიცოდი, ლიუტში ვერ შეეტყოდა. სკამზე უნდა გადაგვესვა და ცოტათი გაგვიჭირდა, რადგან დედა სულ მოეშვა. ჩემმა ცოლმა, ლატიკამ იყოჩალა, ლენას უთხრა, ხელებით კისერზე მაგრად მომეჭიდეო. ისიც პატარა ბავშვივით მოეხვია თავის რძალს და ასე ჩამოკიდებული, ლატიკამ, მარტომ გადასვა სკამზე. ეს იყო მათი პირველი შეხვედრა ათი წლის შემდეგ. ჩემი ოჯახის თემქაზე გადაბარგების მერე ურთიერთობას გაურბოდნენ. ერთად ცხოვრების კოშმარულ პერიოდში ისე შესძულდათ ერთმანეთი და საკუთარი თავები, რომ შემდგომ წლებში ერთხელაც არ შეხვედრიან, არ დაურეკავთ, არც მიუწერიათ და ჩემი თანდასწრებით, არც კი უხსესნებიათ ერთმანეთი. სრული ამოშლა წარსულისა. და აი, დიდი ხნის მერე, მძიმე ვითარებამ ჩაახუტა ისინი. ეტყობა ნაიარევი მოუშუშდათ და სხვა გრძნობები წამოვიდა წინ.

ლატიკას ასეთი სიყოჩალე მამამისის ავადმყოფობაშიც უნდა გვეძია. ორი წლის წინ მისი ინსულტგადატანილი მამა ლოგინად ჩავარდა. ჰიგიენური პროცედურების დროს შეეჩია ლატიკა ავადმყოფის აწევას და მისი მოვლისას გაუმდაფრდა სიბრალულის გრძნობაც.

სულ მალე დედა ლიფტის წინ იჯდა. ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებდა, მაგრამ ორმაგი მოტეხილობის ბოლომდე გაყუჩება ძნელია.

ქვემოდან ლიფტს ჩემი ვაჟი, სანდრო ამოყვა.

– ყველანი ვერ შევეტვით, – ვთქვი ჩვენი კორპუსის მაცხოვრებლების ლიფტთან წარმოსათქმელი მაგიური ფრაზა და ხელი სანიტრისკენ გავიშვირე, – მე და ეს კაცი ავწევთ.

დიახ, ეს სწორედ ის ლიფტია, რომელშიც არასოდეს არაფერი ეტეოდა. ამ კაბინაში არ ეტეოდა არანაირი გარდერობი, არანაირი საწერი მაგიდა თუ ტახტი. ვერაფრით შეტენდი საწოლს, ვერც მაცივარს და პიანინოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეტეოდა პატარა სავარძელი. ველოსიპედი ხან ეტეოდა, ხან ვერა. თუ შეძლებდი და დიდ ველოსიპედს სწორი კუთხით ააყირავებდი, მაშინ ეტეოდა. თუ არადა, კარი, რომელიც შენ უკან ძალიან სწრაფად თავისით იხურებოდა, არ მოგცემდა ექსპერიმენტის გაგრძელების საშუალებას. კარს თუ დიდხანს დაიჭერდი გაღებულ მდგომარეობაში, ისე გაიჭედებოდა, რომ საერთოდ ალარ დაიხურებოდა. ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როცა მე-5 სართულმა როიალი მოათრია. გავშტერდით... ლაშა ახლოს მივიდა და ჰყითხა: აბა ერთი ნახე, კარგად ნახე უკან, შიგ ხომ არ გაქვსო? თავიდან როიალის პატრონი უარზე იყო, მაგრამ ორსაათიანი ტანჯვის მერე, როიალის ქვეშ მოყოლილი რამდენიმე თავისივე ძმაკაცის შემყურე, იძულებული გახდა, გამოტყდომოდა ლაშას რაღაც-რაღაცებში.

როცა მამაჩემის გასვენებაზე ვიღაცამ იკითხა, ლიფტით ხომ არ ჩაგვეყანაო, ამ მოულოდნელი ექსპერიმენტის მოლოდინში, ჩემდა უნებურად, თვალები ამენთო და ცნობისმოყვარეობისგან ავტომუკდი. ცხადია, ცდა უშედეგო გამოდგა, რადგან კუბო კი შეატიეს როგორლაც, მაგრამ სხვა ველარავინ შეეტია და გარდაცვლილის ეული მოგზაურობა ლიფტით, მერვედან პირველამდე, სატანისტურ რიტუალს თუ არა, ცხედრის თავიდან მოშორებას დაემსგავსებოდა.

წარმოიდგინეთ, გარდაცვლილი მოძრაობს ზევიდან ქვევით, მარტოკა, ლიფტის კაბინით, რომლის კედლებიც აჭრელებულია

სხვადასხვა რეკლამებით და უხამსი სიტყვებით: „მარიშა ბოზია, დედას გეფიცებით, მე და ჩემი ძმაკაცი ვხმარობდით... აი ტელე-ფონი...“. უხერხულია რაღაცნაირად. მკვდრისთვის სულერთია, უბ-რალოდ, ნეშტის უხეშ გარე სამყაროსთან შეტკოვებაზეა საუბარი.

როგორც წესი, რეკლამები ლიფტში არ სჭირდებოდათ არც მკვდრებს და არც ცოცხლებს: თუ ამგვარად ნაპოვნი სანტექნიკო-სის ტელეფონი ხანდახან ამართლებდა, მექავის ნომერზე დარეკვი-სას, ხელში გვრჩებოდა ძალიან წესიერი ქალიშვილი – მსხვერპლი თავისი ვიგინდარა შეყვარებულისა, რომელსაც, მორიგი წაკინკლა-ვების შემდეგ, გადაწყვიტა შური ეძია გოგონაზე და ექცია ის წარ-მოსახვით ბოზად.

ლიფტში შესვლა და იმწამსვე ძირს, კუთხეში დაფურთხება, კი-დევ ერთი, ძალიან უცნაური რიტუალი იყო. ვფიქრობ, ამდაგვარი საქციელის საფუძვლები, მამაკაცთა დაუკმაყოფილებელ სექსუა-ლურ გრძნობებში უნდა გვეძებნა. ის წყვილი კი, რომელიც წამდვილ სექსზე იყო წამსვლელი, საქმიანად იყენებდა ჩვენი ლიფტის კაბინას, სანამ ღილაკი STOP მუშაობდა. ანვები STOP-ს, ლიფტი ჩერდება სართულებს შორის (ამას გამოთვლა სჭირდებოდა) და გაქვს სექსი. არ მუშობს STOP და არ გაქვს სექსი – ერთგვარი პარადოქსია.

სულაც არ იყო აუცილებელი, რომ ლიფტში სიმღერა სექსუა-ლური აქტის ერთგვარ გაგრძელებად წარმოგვედგინა. მღეროდნენ ყველანი. დაიმარტოხელებდნენ თუ არა საკუთარ თავს ლიფტში, იწყებოდა შინაგანი განწყობილების ამოთქმა სიმღერით. მიაქციეთ ყურადღება, ლიფტში როკი, სოული და რეგი დომინირებდა, ხან-დახან – რიტმ-ენდ-ბლუზიც, მაშინ, როცა აბაზანაში ადამიანები მკაცრად საოპეროს აწვებოდნენ. დროის მოგების მიზნით მომღე-რალი შესვლისთანავე წაუსტივუანდერებდა... ბოლომდე იხარჯე-ბოდა და ამთავრებდა ერთი სართულით ადრე... კაბინიდან კი ღირ-სეული ჯენტლმენის სახით გამოდიოდა.

ახლა ჭიდაობის შესახებ. ამას ორი ან სამი ადამიანი სჭირ-დებოდა. ოთხი ბევრი იყო, სივიწროვისგან ვეღარ გაინძრეოდი და მხოლოდ თავებს თუ დასცხებდით ერთმანეთს. ორი მოჭიდავე

იდეალური იყო. აქაც, ჭიდაობა შესვლისთანავე იწყებოდა და მებრძოლნი თავს არ ზოგავდნენ – ეს იყო საკუთარი თავის ერთგვარი გამოცდა, და ჩაკეტილ სივრცეში ტანსაცმლის შემოხევის საუკეთესო ვარიანტი. არ გეგონოთ, მარტო პატარა ბიჭები იყვნენ ამით დაკავებულნი – არა. დიდებიც მინახავს, 50 წლის მამაკაცები რომ ებლლარძუნებოდნენ ერთმანეთს უჰაერობაში. გოგონები მხოლოდ კისკისებდნენ და იჩქმიტებოდნენ.

ვინც პარტიორს ვერ პოულობდა – იშვიათად, მაგრამ ასეც ხდებოდა – ის მუშტს ურტყამდა ლიფტის კედელს გამნარებული, ხანდახან თავსაც – არ ვაჭარბებ.

საოცარ, რაღაც კუთხით გაუგებარ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ლიფტში მხტომარე ადამიანი. წავიდა ლიფტი და წავიდა ხტომა ადგილზე... ამ დროს გარეთ მყოფს ექმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლიფტით რაღაც ცხოველი ამოდიოდა.

ლიფტი ხშირად ტუალეტის ფუნქციასაც ითავსებდა. მთავარი იყო, შეზარხოშებულ მამაკაცს ლიფტამდე მიესწრო და კაბინაში დაცლიდა შარდის ბუშტს. სტატისტიკურად იკვეთება, რომ მამაკაცები უფრო თავისუფალნი იყვნენ ცხოველურ ქმედებებში.

და მაინც, თუ ამ ადამიანთა მდგომარეობაში კიდევ რამენაორად შევდიოდით, ნამდვილად რთული გასაგები იყო იმ მგზავრთა ქმედება, სანთებელათი სართულების ლილაკებს რომ წვავდნენ. დედუქციური მეთოდის გამოყენებით მე და ლაშამ ალმოვაჩინეთ, რომ ბოროტმოქმედს ამოძრავებდა სხვისი საკუთრების გაფუჭების სურვილი და დამნაშავეს, ჩვენსავე მეზობელს, ისევ და ისევ მამაკაცს, წარვუდგინეთ ბრალი იმის საფუძველზე, რომ ის წვავდა სხვა სართულების ლილაკებს, ხოლო საკუთარი სართულის ლილაკს უვნებელს ტოვებდა.

გაფუჭებული იყო პირველი სართულის გარეთა ლილაკიც – შუქი არ ინთებოდა. ამიტომ ვერ იგებდი, ლიფტი შენ გამოიძახე, თუ სხვა ჩამოდიოდა. კარი იღებოდა და ჩაფიქრებული სწრაფად შედიოდი. შეტაკება გამომსვლელსა და შემსვლელს შორის წამიერად ხდებოდა და უფრო შემინებული შემსვლელი რჩებოდა.

ლიფტში გაჭედვა ურთულესი თემაა და ლრმა ანალიზს ითხოვს. გაჭედილები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფოდნენ: რომლებიც იტრუნებოდნენ და რომლებიც წიოდნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გატრუნულები უშიშარნი იყვნენ – ბევრ მათგანს სწორედ შიშისგან უვარდებოდა ხმა. ის კი, ვინც წიოდა – შესაძლოა, თავს იმსნევებდა. გატრუნულთათვის დამახასიათებელი ფრაზა იყო: „ხომ გამომიყვანთ?“, მაშინ როცა მყირალთა ფრაზა ასე უღერდა: „გამომიყვანეთ, თქვენი დედას შევეცი!“

აქ, ამ ლიფტში, 80-იან წლებში, მე და ლაშამ საუკუნის სანაძლეო მოვიგეთ. ჩვენივე უბნელი დიდი დოძიკა დაგვენაძლევა, რომ მოასწრებდა დანძრევას მანამ, სანამ ლიფტი პირველიდან მერვემდე ავიდოდა. დიდი დოძიკა პროფესიონალი მოთამაშე იყო და სანაძლეოს იგებდა როგორც სპორტულ თამაშებში, ასევე ბანქოში, კამათელში და მრავალ, თავისავე გამოგონილ ასპარეზობაში. როგორც ჩანს, დიდ დოძიკას ფანტაზია კიდევ უფრო გახსნოდა. საბჭოთა კავშირის დროს ყველანი იგროკები ვიყავით, მაგრამ ასეთი რამ უცხო ხილი იყო. ამიტომ მე და ჩემმა ძმაკაცმა გამონვევა მივიღეთ. პირველიდან მერვემდე ლიფტი ნახევარ წუთში ადიოდა და აპა, როგორ უნდა წაგვეგო! იქნებ თავისი ერთგვარი სისუსტის – სწრაფი ორგაზმის – იარაღად ქცევა უნდოდა? ამან დაგვაფიქრა. ჩვენი გამოთვლებით, ყველა ვარიანტში ნაფიქრი და აღგზნებული უნდა მოსულიყო საასპარეზოდ – ისე ცოტა შანსი ჰქონდა მაინც. მისი მხრიდან ეს არ იქნებოდა პატიოსანი საქციელი, მაგრამ სექსუალურ ფანტაზიებს ვერანაირად გავუკონტროლებდით. ასეც მოხდა, ჩვეულებრივზე წითელი სახით და უშნოდ აცმუკებული გვეახლა: აპა, სწრაფად დავიწყოთო.

სამივენი ლიფტში შევედით. კარი დაიხურა და დოძიკამ დაუბერა ელვისებურად. პირველ სართულს ავცდით თუ არა, დოძიკამ ისეთი ხმების გამოშვება იწყო, ნაგების საშიშროების წინაშე დავდექით. დოძიკას სუნთქვა გაუხშირდა და თვალებიც მიენაბა. მაგრამ ლაშა რის ლაშა იქნებოდა, საიდუმლო იარაღი რომ არ ჰქონდა: ეს იყო სტვენა. ლაშამ ნაზად დაინწყო მელოდიის სტვენა

ფილმიდან „კარგი, ცუდი, ბოროტი“... შესავლის მერე მონოტონური რი რიტმი მისცა, ოსტატურად ჩაახუჭუჭა და სასაფლაოს სცენაზე გადავიდა... მე-4 სართულამდე კვლავ ფრე იყო, მე-5-ზე დოძიკამ თვალი გაახილა და ლაშას ისე გახედა, რომ მივხვდი: ველარ აკონტროლებდა, რა ეჭირა ხელში – თავისივე სხეულის ნაწილი, თუ „კოლტი“. დიახ, ეს იყო ჩვენი მიზანი: მისი ფალოსი კოლტად ვაქციეთ – COLT 1851 Navy Revolver. ფრონდს გადავუჯოკრეთ, ფალოსს პირიქითი დატვირთვა მივეცით. ატრიალე ეხლა ეგ ბარაბანი, დოძიკ, და ეცადე არ გაგივარდეს... ის დაგვინებდა და მოგებული ფული იქვე, პავლოვზე დავამლერეთ, ლუდის ბარში. დიდი დოძიკა არ წაგვიყვანია.

შინ როცა ვიყავი, კედლის მიღმა ლიფტის ძრავის ხმით მე ვიგებდი, რომელ სართულზე ამოდიოდა და რომელი მეზობელი ამოჰყავდა. ცხადია, ველაზე კარგად მამისა და დედის ამოსვლას ვგებულობდი და სახლის კარს მანამდე ვუღებდი, სანამ ლიფტი გაჩერდებოდა.

მეგონა არაფერი ეტეოდა და რამდენი რამე ჩატეულა.

და აი, უკვე წლების მერე, სანიტრის დახმარებით, დედა ჩაგვყავს ქვემოთ და სასწრაფო დახმარების მანქანის გვერდით ვსვამთ, ასფალტზე, ლამის შუა ქუჩაში. სკამიდან ვაწვენთ საკაცეზე და შეგვყავს ავტომობილში. სანიტარი, მე და ლატიკა უკან ვთავსდებით, ლენასთან. ექიმი წინ ჯდება.

თითქოს ერთი სული აქვსო, მძლოლი სირენას რთავს. ეზოდან გავდივართ და ტრავმატოლოგიურისკენ ვიღებთ გეზს. მანქანას გვერდითა ფანჯრები არა აქვს – მხოლოდ ზემოთ, ჭერში.

– რაღაც სპეციალური მასალისგან არის დამზადებული, – თქვა სანიტარმა და ავტომობილის კედელს მიუკაკუნა თითი, – შიგნიდან გარეცხვის უფლებას არ გვაძლევენ, შეიძლება გაფუჭდეს.

რადგან აქეთ-იქით არაფერი ჩანდა, ჭერში დავიწყე ცქერა: კორპუსების მაღალ სართულებს, ხეებს, განათების ბოძებს და ცას შევყურებდი. დავინახე, ქალი სარეცხს ფენდა. რა გამოდის, აივნიდან გადმომდგარი და უდარდელი, მეც არაერთხელ დავუნახივარ

სასწრაფოში მწოლიარე რომელიმე ავადმყოფს? მძღოლმა სიჩქარეს უმატა და თითქოს სირენაც უფრო ხმამაღლა აკივლდა. ჩვენ წინ მიმავალი ავტომობილები გზის კიდეებს მიაწყდნენ. მომინდა მძღოლისთვის მეთქვა, რომ არ იყო საჭირო სიტუაციის ხელოვნურად დაბატვა – არავინ იცლებოდა სისხლისგან.

– სირენის გამორთვის უფლება არა გვაქვს! – დაიყვირა მძღოლმა.

– ცოტა ნერვიულადაა, – თქვა სანიტარმა და მძღოლისკენ გადააქნია მოკლედ შეკრეჭილი თავი, – გუშინ ერთი მამაკაცი გავიტანეთ გზაზე.

არ მომენტია მრავლობითში ნათქვამი „გავიტანეთ“ – ადვილია დანაშაულის გაზიარება და ტრაბახი, როცა პასუხისმგებლობა სხვას ეკისრება.

– არასწორად გადადიოდა, ოდნავ წავიარით... პატრულიც მოვიდა. კიდევ კარგი, გადარჩა. არ ვიცი, – აქ სანიტარმა კიდევ ერთხელ გააქნია თავი მძღოლისკენ და ამ მოძრაობამ საბოლოოდ გასცა მისი პასუხისმგებლობა, – ჩვენი ამბავი როგორ იქნება. მძიმე ავადმყოფი გადაგვყავდა, რა უნდა გვექნა?

მამაჩემი გამახსენდა, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მანქანა დაეჯახა. საკუთარი სამსახურის შენობასთან იდგა, სადაც წახევარი საუკუნე გაატარა. ათწლეულების წინ თავის დარგულ თუთის ხეს უცქერდა და ხელი ზემოთ ჰქონდა გაშვერილი, ტოტისკენ. უკან-უკან მიმავალი მანქანა დაეტაკა. ყვირილის გარეშე წაიქცა და მინაზე დაგდებული, თავისთვის ოხრავდა (დედამ და მამამ, წაქცევისას, მსგავსი თვისებები გამოავლინეს). თანამშრომლებმა სახლში აიყვანეს. ფეხი ჰქონდა გასიებული. კიდევ იოლად გამოძრა. ამ ამბის შესახებ მხოლოდ რამდენიმე დღის მერე შევიტყე. მამა მოწყენილი მეჩვენა, როცა ვესტუმრე. დედამ მითხრა, ის კაცი უნდა მოვიდეს, რომელიც დაეტაკაო. ძალიან ავნერვიულდი, არ ვიცოდი, რა მექნა, რა მეთქვა, თავი როგორ დამეჭირა. საერთოდ არ მქონდა მიწოლისა და საქმეების გარჩევის სურვილი – მშვიდად ვიყავი, ნეიტრალურად. ისიც მაფორიაქებდა,

არ ვიცოდი, რას ელოდა მამა ჩემგან, თანადგომის რომელ ფორმას. მძღოლი ყმაწვილი კაცი აღმოჩნდა, დაბალი, ჩემ სიმაღლე. დაბნეული მეჩვენა და შეწუხებული. ჩემთან შედარებით – გაცილებით მძიმე სიტუაციაში. დედამ ჩემზე უთხრა, ჩვენი ვაჟიაო. და ამ ნათქვამით მიანიშნა: ჩვენს თავს არ დაგაჩაგვრინებსო. მე გავულიმე და მის სახეზე დაბნეულობა ამოვიკითხე: ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ჩემი ღიმილი. არადა, ჩვეულებრივი ღიმილი იყო, თბილი, გაცნობას რომ ახლავს თან. ნერვიულობდა და უბრალო ღიმილშიც შეიძლებოდა აგრესია დაენახა ჩემი მხრიდან. რომ დამშვიდებულიყო, გარეგნული უდარდელობაც გავითამაშე, მამას ნალრძობ ფეხზე ხელი დავადე და ვუთხარი: გარინჩასაც ერთი ფეხი მოკლე ჰქონდა-მეტქი. და როცა მოსულმა უსაფრთხოდ იგრძნო თავი, მამას ძალიან გულიანად მოუბოდიშა, არაფერი მეთქმის, დამნაშავე ვარო.

იმაზე კარგი არაფერი ყოფილა, დამნაშავეს ადამიანურად რომ მოეპყრობი და არაფერს აგრძნობინებ. შეხვედრა ისე მიღიოდა, არცერთ ჩვენგანს არ გამოუთქვამს მის მიმართ ოდნავი წყენაც კი. მამა კარგ გუნებაზე დადგა. სხვა შემთხვევაში უფრო მეტს იხუმრებდა, ახლა თავს იკავებდა, ფიქრობდა, ზედმეტად გაშინაურება არ ივარგებსო. დედამ ჩაიც დაგვალევინა. ვამაყობდი ჩემი თავით, რაღაც ახალს ვგრძნობდი გულში, რა საოცარი რამ ყოფილა პატიება დამცირების გარეშე, თუ დამნაშავეც მოგყვება და გაძლევს ამის საშუალებას. თითქოს ყველა სხვა პრობლემაც გაქრა.

რამდენიმე დღემ ჩაიარა და დედამ მითხრა, იმ ბიჭმა მამას 500 ლარი აჩუქა, მინდა შენ მოგცე, შენ გამოიყენეო. ვურჩიე, იმ ფულით ტელევიზორი ეყიდათ, ლამფებიანი ტელევიზორი ჰქონდათ ჯერ კიდევ და მამა გაწვალდა ნაწილების გამოცვლით.

ამ ამბიდან მალე მამა გარდაიცვალა. ექიმმა გვითხრა, სავარაუდოდ, ავტომობილის დატაკებამ სხეული გვარიანად შეუჯღრია და ციროზი დააჩქარაო.

– აბა, როგორ ხარ? – ვკითხე დედას.

– გაბრუებული ვარ, – თქვა დედამ, – ესე უნდა ვიყო?

ზემოთ, ფანჯარაში ავიხედე, შენობების ფერისა და კონფი-  
გურაციის მიხედვით, თითქოს მისულები ვიყავით. შემეშალა, არ  
ვიყავით მისულები, მანქანამ კიდევ იარა რაღაც დრო და გაჩერდა.

საკაცეს ბორბლებიანი ფეხები თავისით ჩამოეშალა და ლენა  
მისალებისკენ გავაგორეთ. დედას იქაური ექთანი მიარბენინებდა  
საკმაოდ სწრაფად და მე და ლატიკა გვერდით მივდევდით, ვცდი-  
ლობდით, ჩვენც მოგვეკიდა ხელი საკაცისთვის. კლინიკის სიტუა-  
ციამ ავადმყოფი გამოაფხიზლა. დაძაბული აქეთ-იქით აცეცებდა  
თვალებს და სანამ იქაურ ფართო ლიფტში შეაგორებდნენ, რამ-  
დენჯერმე წამოიძახა: „არა მგონია, აქედან ცოცხალი გამოვიდე! რატომ  
არ გესმის, ალეკო?!”